პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი 3 კაპ.

პირველ და მეორე ქართულ მსროლელ დივიზიების პოლიტგანყოფილებების ყოველ დღიური ორგანო

წელიწადი მეექვსე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლუნაჩარსკის (ყოფ. ევანგულოვის) ქუჩა № 2.

დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია უკან არ აბრუნებს.

ხელის მოწერის პირობები: ცალკე ხელის მომწერთათვის 1 თვით—35 კ., 3 თვით—90 კაპ. 6 თვ.—1 მ. 70 კ. 12 თვ.—3 მ. 20 კ.
წითელ არმიელებისათვის კოლექტიური ხელის მოწერა: 1 თვით—30 კ. 3 თვით—80 კაპ. 6 თვით—1 მ. 50 კ. ერთი წლით 3 მან.
განცხ. ფასი 1 სტრ.—80 კ. სტრ. მე 4-ზე—40 კ.

114 (1019) | ოთხშაბათი, 26 მაისი 1926 წ. | 114 (1109)

# დისციპლინისა და მოსახლეობასთან კავშირის შესახებ.

ამას წინად ჩვენი გაზეთის მოწინავეში ჩვენ ვსწერდით, რომ ბანაკობის დროს ერთი ორად უნდა განმტკიცდეს დისციპლინა და ყოველგვარ არანორმალურ მდგომარეობას ამ მხრივ გამოეცხადოს სასტიკი ბრძოლა.

ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ჩვენ ვსწერდით აგრეთვე, რომ ყოველი მებრძოლის ვალდებულებას შეადგენს ყოველ მხრივ ხელს უწყობდეს თავისი საქმიანობით და ყოფა ქცევით წითელი ჯარის და მოსახლეობის შორის კავშირის განმტკიცებას.

მაგრამ, როგორც ჩანს არა ყველა წითელ არმიელს შეუგნია ზემოთმოყვანილი მათი ვალდებულებები. დღევანდელ ჩვენს გაზეთში ერთ-ერთი სამხედრო გვწერს, რომ ზოგიერთი წითელ არმიელი უწესოთ იქცევა მოსახლეობის მიმართ ბანაკში, რაც უკმაყოფილებას იწვევს მცხოვრებთა შორის.

ასეთ უმსგავსო მოვლენას ყოველმა წითელ მებრძოლმა უნდა შეებრძოლოს.

ასეთი საქციელით გლეხებთან კავშირის განმტკიცებას კი არა შესუსტებას მივაღწევთ.

ზემოთ აღნიშნულ წითელ არმიელებს დავიწყებიათ თავისი მაღალი სახელწოდება წითელი მებრძოლისა, თავისი საქციელით ისინი არღვევენ რევოლიუციონურ დისციპლინას, ძირს უთხრიან წითელი ჯარის ავტორიტეტს, ხელს უშლიან მოსახლეობისა და წითელ ჯარის შორის კავშირის გაძლიერებას.

ამიტომ მსგავს მოვლენებს ამ თავითვე ბოლო უნდა მოეღოს. ჩვენ კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, რომ ყოველი წითელ არმიელი რევოლიუციონური შეგნებულობის და დისციპლინიანობის საუკეთესო მაგალითი უნდა იყოს. ეს თვისებები მას უნდა ახასიათებდეს არა მარტო ყაზარმის შიგნით არამედ ყაზარმის გარეთაც. მაშინ სამხედრო სწავლებაც ნაყოფიერად წარიმართება და მშრომელ მასასთან მტკიცე ურყევი კავშირი გაიბმება.

ჩვენ სამხედროებს კიდევ ვაგონებთ, რომ არც ერთი უდისციპლინობის და მსგავსი თავაშვებულობის შემთხვევები არ დასტოვონ უყურადღებოთ და გააშუქონ როგორც ჩვენს გაზეთში, ისე კედლის გაზეთშიაც. მეტი დისციპლინიანობა, მეტი შეგნებულობა ბანაკობის დროს! მეტი ყურადღება სამხედრო სწავლებას და მოსახლეობასთან მჭიდროთ დაახლოვებას.

# პოლონეთის ბურჟუაზია არ სცხრება.

მიუხედავათ იმისა, რომ პოლონეთში დიდ არევ დარევას აქვს ადგილი, არსებული ხელისუფლება მაინც განაგრძობს თავის იმპერიალისტურ პოლიტიკას.

დღევანდელი რადიო გადმოგვცემს, რომ პოლონეთის მთავრობას თავისი წარმომადგენლის იანიკოვსკის საშუალებით გაუმართავს მოლაპარაკება ბალტიის განაპირა მდებარე ქვეყნებთან—ესტონეთთან და ლატვიასთან საიდუმლო ხელშეკრულების დადების შესახებ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

მუშურ-გლეხური ხელისუფლება დღიდან თავისი აღმოცენებისა მუდამ ადგა სხვა სახელმწიფოებთან მშვიდობიანი დამოკიდებულების გზას. საბჭოთა მთავრობა მომხრეა ზავის და წინააღმდეგი ყოველგვარი იმპერიალისტური ომის. ამიტომაც, სწორედ ამ მშვიდობიანობის და ზავის განსამტკიცებლად მან განიზრახა ორ მოსაზღვრე ბურჟუაზიულ ქვეყნებთან—ესტონეთსა და ლატვიასთან ხელშეკრულების დადება, რომლის ძალით ერთის მხრივ საბჭოთა სახელმწიფო და მეორეს მხრივ ესტონეთი და ლატვია იცხოვრებენ კეთილმეზობლურად და არ გაილაშქრებენ ერთმანეთის წინააღმდეგ.

მაგრამ აქ თავი წამოყო იმპერიალისტურ პოლონეთმა. პოლონეთის ბურჟუაზია და მემამულეები დაუძინებელი მტრებია მუშების და გლეხების რესპუბლიკის. ისინი ვერ ინელებენ მის არსებობას და ყოველმხრივ სცდილობენ რაიმე ზიანი მიაყენონ მას. თუ ხელსაყრელი პირობები დაურჩა პოლონეთი მზად არის იარაღითაც გამოვიდეს ჩვენ წინააღმდეგ. სწორედ ამ მიზნით ეძებს ის მოკავშირეებს და სცდილობს ერთიანი ფრონტი შექმნას საბჭოთა კავშირის დასავლეთით მოსაზღვრე სახელმწიფოებისაგან საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ.

ლატვიის და ესტონეთის განზრახვამ ჩვენთან ხელშეკრულების დადების შესახებ ყალყზე დააყენა თმები პოლონეთის მყვლეფელებს.

ვილნოსის მთავრობა გზავნის თავის ელჩს ლატვიასა, ესტონეთში და ფინეთში, რათა ხელი შეუშალოს ამ უკანასკნელებს საბჭოთა კავშირთან ხელშეკრულების დადებაში. პოლონეთი სცდილობს როგორმე გადმოიბიროს თავის მხარეზე ეს ქვეყნები.

მოლაპარაკება დღესაც გრძელდება. როგორც რადიო გადმოგვცემს ფინეთი გულგრილად შეხვდა პოლონეთის წინადადებას, ხოლო ესტონეთი და ლატვია დიდის ყურადღებით მოეპყრენ მის პირობებს. ჯერ ჩვენ არ ვიცით რით დასრულდება ეს მოლაპარაკება. მაგრამ ორი რამ აშკარა და უდავოა. პირველი იმპერიალისტური პოლონეთი არ სცხრება და კვლავ განაგრძობს მტრულ პოლიტიკას ჩვენს წინააღმდეგ. მეორე—პილსუდსკის მთავრობის სახე—საბოლოოდ გამორკვეულია. ის დიდათ არ განსხვავდება ვიტოსის მთავრობისაგან, რომლის დაწყებულ იმპერიალისტურ პოლიტიკას არა ნაკლები რიხით განაგრძობს ბატონი პილსუდსკი.

პოლონეთის იმპერიალისტების მორიგი ბოროტ განზრახვას ჩვენ უნდა ვუპასუხოთ ჩვენი რიგების მეტი შემჭიდროებით და სამხედრო სწავლების გაძლიერებით. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ გვიმტკიცებს, რომ ჩვენ ფხიზლად უნდა ვიდგეთ მშრომელი ხალხის სადარაჯოზე.

მაგარი, ძლიერი წითელი არმია კი მუდამ შესძლებს გათავხედებული პანების შავბნელ ზრახვების ჩაფუშვას.

—ე.

# კუკი სასტიკად ჰგმობს მუშათა კლასის გამყიდველ ბელადების მოქმედებას

## პოლონეთი ცდილობს ოთხთა კავშირის შექმნას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ

### ამერიკა ემზადება მაღაროებში მოსალოდნელ განხეთქილებისთვის

## უმაგალითო ჭუჭყიანი საქმე

სამთა-მადნო მუშათა გაერთიანების მდივანმა კუკმა სასტიკად გაილაშქრა მთავარ საბჭოს წინააღმდეგ, რომელმაც სამარცხვინო დათმობაზე წავიდა და ვერაგულად გაჰყიდა მუშები. კუკმა განაცხადა: „ჩვენ ვიბრძვით არა მარტო მთავრობის, არამედ მუშების ბევრი ბელადის წინააღმდეგ. არას დროს მთავრობასა და მეპატრონეებს ასეთი ძალდატანება არ უხმარია ჩვენს მიმართ, როგორც ეს ჩაიდინა პროფკავშირების ზოგიერთ ბელადებმა, რომლებიც მოითხოვდენ ჩვენგან დავთანხმებოდით სამუშაო ხელფასის შემცირებაზე“.

კუკმა სასტიკად დაჰგმო მუშათა პარტიის წევრების, კერძოდ მაკდონალდისა და ტომასის გამყიდველური მოქმედება, რომელთა სიტყვებს „სირცხვილით წაიკითხავს მუშათა კლასი მომავალში“.

დასასრულ კუკმა განაცხადა: ასეთი ჭუჭყიანი საქმე, რომელიც ჩაიდინა საბჭომ, არ ახსოვს მუშათა კლასის ბრძოლის ისტორიას“.

## პოლონეთის ახალი ოინები

როგორც სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, პოლონეთის მთავრობა სცდილობს ხელი შეუშალოს საბჭოთა კავშირის, ესტონეთსა და ლატვიას შორის საუზრუნველყოფო ხელშეკრულების დადებას. პოლონეთის მთავრობამ წინადადება მისცა ესტონეთსა და ლატვიას—დასდონ საიდუმლო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც პოლონეთი იღებს თავზე ვალდებულებას დაეხმაროს ლატვიასა და ესტონეთს საბჭოთა კავშირის მხრივ თავდასხმის შემთხვევაში.

პოლონეთი მოითხოვს ესტონეთისა და ლატვიის ფინეთთან დაახლოებას, რათა შექმნას ოთხ სახელმწიფოთა ერთიანი ფრონტი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

გადმოგვცემენ, რომ ესტონეთმა და ლატვიამ დიდი ინტერესი გამოიჩინა ამ წინადადებისადმი, ხოლო ფინეთი თავდაჭერით შეხვდა.

ამ წინადადებას ხელს უწყობს ახალი მთავრობა პილსუდსკის შთაგონებით, რომელიც დიდი მომხრეა პოლონეთ-ბალტიის კავშირის შექმნისა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

## „ყოველ შემთხვევისთვის“

შეერთებულ შტატების მთავრობამ შეიმუშავა კანონპროექტი, რომლის ძალითაც ამერიკის პრეზიდენტს უფლება აქვს გამოაცხადოს საგანგებო წესები, ჩამოართვას ნახშირის მაღაროები და გადასცეს იმ პირებს, რომლებიც უფრო ზომიერ ფასებში მოაწყობენ ნახშირის დამზადებას. ეს კანონი გათვალისწინებულია იმ მომენტისთვის, თუ რომ მოხდება განხეთქილება შეერთებული შტატების სამრეწველოებში.

მუშათა პრესა მიუთითებს, რომ კანონპროექტი მიმართულია უმთავრესად მუშათა კლასის წინააღმდეგ.

## მოლაპარაკება ოსმალეთ-სირიის საზღვრის გარშემო

საფრანგეთის მთავრობამ არ დაამტკიცა სირიის კომისარის დე ჟუვენელის მიერ ანგორაში ხელმოწერილი შეთანხმება. ამის გამო ოსმალეთსა და სირიას შორის განახლდა მოლაპარაკება ოსმალეთ-სირიის საზღვრის გარშემო.

# საბჭოთა კავშირში

## კომინტერნის აღმასკომის მოწოდება

კომინტერნის აღმასკომმა მიმართა ყველა ქვეყნების მუშებს მოწოდებით—განაგრძონ დახმარება ინგლისის გაფიცულ მუშებზე.

„ინგლისის პროფკავშირთა მთავარ საბჭომ—ნათქვამია მოწოდებაში—სამარცხვინოდ გაჰყიდა მუშები.

სამთა-მადნო მუშების ბრძოლა—მსოფლიო პროლეტარიატის ბრძოლაა. ამიტომ ინგლისის სამთა-მადნო მუშებზე დახმარების კამპანია გაგრძელებულ უნდა იქნას. ჩვენი ლოზუნგი—არც ერთი ფუთი ნახშირი ინგლისს—ძალაში რჩება“.

# საქართველოში.

## წითელი არმია სოფელზე დასახმარებლად.

### ჯვარი—მესტიის გზატკეცილზე.

საქართველოს სსრ-ს სახკომსაბჭომ წინადადება მისცა საქართველოს გზატკეცილების სამმართველოს გაიღოს თავისი თანხიდან 15.000 მანეთი მესანგრე ათასეულის საჭიროებისთვის, რომელსაც გაჰყავს გზა ჯვარსა და მესტიას შორის.

## დასასვენებელი სახლი წითელ-არმიელთათვის.

საქართველოს სსრ-ს სახალხო კომისართა საბჭომ წინადადება მისცა საქართველოს საკურორტო სამმართველოს—დაუთმოს ბორჯომში კავკასიის წითელ დროშოვან არმიას დასასვენებელი სახლი, უფასოდ.

## აგროკულტურულ მუშაობისთვის

საქართველოს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა გადაეცეს 60.000 მანეთი მიწათმოქმედების სახალხო კომისარს, მიმდინარე წელში აგროკულტურულ მუშაობის დასამთავრებლად.

დანიშნულია კომისია, რომელსაც მიენდო საშუალების გამოძებნა საბანკო სესხის სახით.

## მუშა-მოსამსახურეთა საბიუჯეტო გამოკვლევა

საქართველოს სსრ-ს სახალხო კომისართა საბჭომ საჭიროდ სცნო გამოკვლეულ იქნას ქალაქ ტფილისის მუშა-მოსამსახურეთა 25 ოჯახის წლიური ხარჯთ-აღრიცხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როგორ იყენებენ შვებულებას ჩვენი წითელ არმიელები.

ამ რამოდენიმე დღის წინათ შვებულებით ვისარგებლე და გავემგზავრე სოფელ ტობანიერში. აქ დავრჩი 7 დღე. ამ ხნის განმავლობაში მოვინახულე ყველა ადგილობრივი დაწესებულებები, რამაც კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ჩემზე. გაძლიერებულია ადგილობრივი კოოპერატივი. კერძო ვაჭრები თვალის დასანახად არსად სჩანან. მათ ვერ გაუძლიათ კოოპერაციის მეტოქეობისათვის და მიმალულან. ჩაუკეტიათ სავაჭროები.

სოფელში აშენებენ სასწავლებლის შენობას, რომელშიდაც უნდა მოთავსდეს ცხრა წლედი. რამოდენიმე თვის შემდეგ მზად იქნება შენობა. კარგ დონეზე დგას კომპარტიისა და კომკავშირის უჯრედების მუშაობა. უპარტიო მასაში მათ კარგი ავტორიტეტი აქვთ. საბჭოს არჩევნები გამარჯვებით დამთავრებულა, როგორც ეს მოხდა სიღნაღის მაზრაში — ქვემო მაჩხაანში. საბჭოში გაყვანილია სულ მშრომელი გლეხობა.

სამწუხაროდ ვერ არის კარგად დაყენებული გლეხობის გასამხედროების საქმე. არ არსებობს სამხედრო კუთხეები. რაიონში ყოფილა წერტი, რომელსაც თავისი მოვალეობა შეუსრულებია და ზედმეტი მუშაობა, როგორც ეს ხდებოდა და ხდება, სიღნაღის მაზრაში დღეს მეორე ათასეულის მეოხებით, არ უწარმოებია. ეს იმითაც მტკიცდება, რომ სანთლით რომ ეძიოთ, ვერ იპოვით ერთ სამხედრო კუთხეს.

ერთ დღეს უპარტიო ახალგაზრდობასთან გაერთიანებულ ღია კრებაზე აღმძრა სურვილი გადამეცა მათთვის წითელარმიის ისტორიაზე და ტერსისტემის მნიშვნელობაზე; მოუყევი აგრეთვე თუ როგორ ვაწარმოებთ სიღნაღის მაზრის გლეხობაში მუშაობას, გლეხობის გასამხედროების საქმეში. ამხანაგები მეტად ნასიამოვნები დარჩენ საუბრით. გამოიტანეს სათანადო რეზოლიუცია და გამოსთქვეს სურვილი, რათა ყოველგვარი ზომები იქნეს გამონახული, რომ ადგილობრივაც მოხდეს გლეხობის გასამხედროება. საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს შესაფერი ყურადღება და აუსრულონ წადილი ტობანიერის გლეხობას.

ბარნაბა.

# სამხ. სამეც. საზოგადოების მუშაობა ზაფხულში

ბევრი ამხანაგი ფიქრობს, რომ ზაფხულობით საზოგადოებრივ ორგანიზაციების მუშაობა ნელდება და, მაშასადამე შეიძლება შენელდეს სამხედრო სამეცნიერო საზოგადოების, სამხედრო სამეცნიერო წრისა და სამხედრო ცოდნათა წრის მუშაობაცო.

ასეთი შეხედულება არაა სწორი.

ზაფხულის პერიოდში აღნიშნულ წრეების მუშაობა არამც თუ არ უნდა მინელდეს, არამედ, პირიქით, უნდა გაფართოვდეს. ეს მუშაობა მხოლოდ სხვა ფორმებში იწარმოებს.

მართალია სამხედრო სამეცნიერო საზოგადოების თეორიული საწრეო მუშაობა ზაფხულზე რამოდენიმედ შეიკვეცება.

ეს მუშაობა (თეორიული) არ უნდა ჩაიხშოს სულ და უნდა ვეცადოთ ზაფხულადაც დავიმუშავოთ სხვადასხვა საკითხები კოლექტიური განხილვის გზით წრეებსა და სექციებში. მაგრამ აღნიშნულ წრეების მთავარი მუშაობა — ეს იქნება ზამთარში გამოტანილ გადაწყვეტილებათა გადასინჯვა,

მუშაობა დაყენებულ უნდა იქნას ისე, რომ ყოველთვის, მინდვრად გასვლის ბოლოს, ყოველ დღიურ ან ღამით მეცადინეობის შემდეგ უნდა გააკეთო მეცადე. საერთო განხილვა და მასთან უნდა მიუთითო — გამართლდა თუ არა პრაქტიკაზე ის გადაწყვეტილებები, რომლებიც მოცემულ თემის მიხედვით მიღებულ იქნა ზამთარში. უნდა მიეცეს ამოცანები ცალკე მეთაურებს და წითელ არმიელებს, ან მათ ჯგუფს ყველა ამ გადაწყვეტილებათა განხილვის საქმეში და შემდეგ მოსმენილ უნდა იქნას მათი მოხსენებები წრეების მეცადინეობაზე.

ეს უნდა გავაკეთოთ აუცილებლად. თუ რომ ჩვენ პრაქტიკაზე არ გადავსინჯავთ თეორიულ გადაწყვეტილებებს, იმ შემთხვევაში ის (თეორია) ვერავითარ სარგებლობას ვერ მოიტანს.

ვ—ი.

# პოლიტ-გამოცდების შედეგები ჩვენთან

1-ლი ცალკე საკავშირო ასეული

ამ რამოდენიმე დღის წინად ასეულში შესდგა პოლიტსაგამოცდო კომისია, რომელსაც უნდა გამოერკვია:

თუ როგორია წ. არმიელთა მომზადების საერთო დონე, როგორ აქვთ შეთვისებული ორწლიანი პროგრამის ცალკე განაკვეთები, რამდენად ასწია მეცადინეობის კომპლექსიურ სისტემამ შეთვისების ხარისხი, მიზანშეწონილია თუ არა წ. არმიელთა ჯგუფებად დაყოფა, რა უარყოფითი მხარეები ახასიათებს ჩვენს ნაწილში პოლიტ-მეცადინეობას და რას უნდა მივაქციოთ მომავალში უმთავრესი ყურადღება.

თავიდანვე აღებული იქნა ისეთი კურსი, რომ გამოცდებს არ მისცემოდა ძველი, „ეგზამენაციონური" ხასიათი. ამიტომ გამოცდებს ატარებდა თვით ჯგუფის ხელმძღვანელი ჩვეულებრივი მეცადინეობის სახით. ჯგუფის ხელმძღვანელი იღებდა მთავარ თემად მთელ კარს; აძლევდა აუდიტორიას ერთი მეორესთან ორგანიულად დაკავშირებულ შეკითხვებს და ამით ახდენდა განვლილი მასალის განმეორებას.

კომისიის წევრები ასეთი მეცადინეობის დროს ინიშნავდნენ ინდივიდუალურად თითეულ წ. არმიელისგან მიღებულ შთაბეჭდილებებს.

პოლიტგამოცდების დამთავრების შემდეგ შესდგა კომისიის სხდომა, რომელმაც გამოარკვია გამოცდების შედეგები. აღმოჩნდა, რომ ორწლიანი პროგრამის საზამთრო პერიოდის მასალა შეუთვისებია კარგად — 53 წ. არ., დამაკმაყოფილებლად — 46 წ. არ. და სუსტად — 12 წ. არ.

უმთავრესი მიზეზები, რამაც მოგვცა 12 სუსტად მომზადებული წ. არმიელი მდგომარეობს იმაში, რომ საშუალო განათლების წ. არმიელებთან ერთად მეცადინეობდა რამოდენიმე მცირე მცოდნე წ. არმიელი, რომელთა ცალკე ჯგუფად გამოყოფა მოუხერხებელი ხდებოდა მათი სიმცირის გამო. მასთან მათ მუდმივი სამუშაო ჰქონდათ ასეულში და პოლიტ-მეცადინეობას ვერ ესწრებოდნენ სისტემატიურად.

ზემოხსენებული გარემოება საჭიროებს ანგარიშის გაწევას და სამხედრო კომისარიატებმა მომავალში მაინც ასეთ პატარა სპეციალურ ნაწილებში უნდა გააგზავნონ განათლების მხრივ ერთნაირი მომზადების წ. არმიელები.

მომზადებულებთან ერთად პატარა ნაწილებში არ უნდა იგზავნებოდეს თითო ოროლა მოუმზადებელი წ. არმიელები, რადგან აქ ლეგიონების მზგავსად ვერ მოვახდენთ ცოდნის მიხედვით წ. არმიელთა კლასიფიკაციას და მცირე მცოდნენი საშუალო განათლების წ. არმიელებთან ყოველთვის ჩამორჩენილი იქნებიან. ეს ჩვენს ნაწილში ბევრჯერ გამოაშკარავებულა და ამ მიმართულებით კომკავშირის ღია კრებებზე ხშირად გვიხდებოდა კამპანიების ჩატარება,

რაც შეეხება ორწლიანი პროგრამის ცალკე განაკვეთების შეთვისებას, საგულისხმოა ის, რომ პროგრამის პირველი კარი მეტად იოლი შეიქნა, ხოლო სხვა დანარჩენი კარები სერიოზული, ახალ ცოდნას იძლეოდნენ და კარგად შეთვისებულიც აღმჩნდენ.

ასეთი მიღწევები უმთავრესად პოლიტმეცადინეობის მეთოდიურ მხარეების გაუმჯობესებას უნდა მივაწეროთ. წ. არმიელთა ჯგუფებად დაყოფა ლექციური მეთოდის უკუგდება და პოლიტმეცადინეობის სხვა და სხვა აქტიური მეთოდებით წარმოებამ, უზრუნველჰყო წ. არმიელთა შეთვისების ხარისხის აწევა.

ასეთია პოლიტგამოცდების შედეგები ჩვენს ნაწილში და უნდა ითქვას, რომ მთლიანი შთაბეჭდილება კარგია. საჭიროა ზოგიერთი წვრილმანი დეფექტების გამოსწორება და პოლიტ-მეცადინეობისათვის უკეთესი პირობების შექმნა.

ო. ლაბარტყავა.

# სამხედრო სწავლება ბანაკში

## სისწრაფისა და ხარისხიანობისთვის.

### საინჟინერო ნაწილების საზაფხულო სწავლება

საზაფხულო სწავლების მთავარი ამოცანაა — მომზადებული იქნას კარგი ინსტრუქტორი — მესანგრე, რკინისგზელი და სხვა.

იმავ დროს საინჟინერო ნაწილებისთვის არის კიდევ რამოდენიმე სპეციალური ამოცანა. პირველი ამოცანაა — მეომარმა შეისწავლოს თავისი სამუშაოს ასრულება — საგზაო, ხიდის, გზატკეცილისა და საამშენებლო საქმე. და ამასთან დახელოვნდეს ამ საქმის ანუ სამუშაოს სწრაფად შესრულებაში არა მარტო მშვიდობიან სწავლების გარემოებაში, არამედ, რაც მთავარია მტრის ცეცხლ ქვეშ.

წარსულ წელს ჩვენ გვქონდა ერთგვარი მიღწევები სისწრაფეში, როცა წითელი არმიის ბევრი ნაწილები სწრაფად ასრულებდენ საინჟინერო სამუშაოებს „საბრძოლო პირობებში".

სისწრაფემ გავლენა არ უნდა მოახდინოს მუშაობის ხარისხიანობაზე. უმჯობესია დაწყებისას ასრულებდე ნელა, მაგრამ კარგად და საიმედოდ.

უნდა გვახსოვდეს, რომ თვითეული, სახელდახელო და ცუდად გამაგრებული ხიდი, სასწრაფოდ გაკეთებული ბლინდაჟი შეიძლება ჩამოინგრეს და აქ სისწრაფე მუშაობის კარგი ხარისხიანობის გარეშე მოიტანს არა სარგებლობას, არამედ ზიანს.

სისწრაფე და ხარისხიანობა განუყრელად უნდა იქნას დაკავშირებული მუშაობაში.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მუშაობას ღამით. გეგმის მიხედვით, საინჟინერო ნაწილების საზაფხულო პრაქტიკულ მუშაობის ერთი მესამედი ნაწილი უნდა სწარმოებდეს ღამით.

ღამით მუშაობა შედარებით რთული და ძნელია.

გარდა იმისა, რომ მოგიხდება ყველაფრის სიბნელეში გაკეთება, ყველაფერი ეს შესრულებულ უნდა იქნას ჩუმად, უხმაუროდ.

და მიუხედავად ყველა ამ ძნელი პირობებისა, აქ უნდა სცდილობდე დახელოვნებას სისწრაფესა და კარგი ხარისხის მუშაობაში.

# თვითმფრინავი კავშირის სამსახურში.

თვითმფრინავი კავშირის სამსახურში ასრულებს სხვადასხვაგვარ ამოცანებს, როგორიცაა: უჭირავს კავშირი მოშორებულ ნაწილებთან, ზურგთან და, ბოლოს, მტრის ზურგთან.

კავშირი თავისი ჯარის ზურგთან და შტაბებთან დაწესებულია იმ მიზნით, რათა შეკრებილ იქნას სხვადასხვა სქემები, ფოტოგრაფიული სურათები და სხვა, რითაც თავის დროზე გაცნობილ იქნება სარდლობა ფრონტის მდგომარეობას.

ამ მიზნისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნას ყოველი ტიპის თვითმფრინავი.

კავშირი მტრის ზურგთან ძნელიცაა და საფრთხილოც. იმპერიალისტურ ომის დროს დასავლეთში, სადაც გერმანელებისა და ფრანგების დიდძალი ჰაეროპლანები მუშაობდა, იყო შემთხვევა, როცა გერმანელების თვითმფრინავი მშვიდად დაჰფრინავდა ფრანგების ჰაეროპლანებს შორის და ბრუნდებოდა უკან ძიების დროს. მაშინ გერმანელებს კარგათ ჰქონდათ მოწყობილი ჯაშუშების შეპარება ჰაერიდან მოპირდაპირის ტერიტორიაზე და მათი უკანვე წაყვანა თვითმფრინავით.

თვითმფრინავი შეიძლება გამოყენებულ იქნას აგრეთვე კავშირის გასაბამად ჩვენს თანამგრძნობ მოსახლეობის პარტიზანულ რაზმებთან. მაგრამ კავშირი მოპირდაპირის ზურგთან მოითხოვს დიდ გამოცდილებას.

აქ საჭიროა მეტად გამოცდილი მფრინავები, კარგი მოტორები და სწრაფი თვითმფრინავები.

გარდა ამისა როცა თავისი თვითმფრინავი დაბრუნდება ძიებიდან და სურს კავშირი გააბას თავის ნაწილებთან, საჭიროა პირობითი და გამოსაცნობ ნიშნების მიცემა მიწაზე. ამას გარდა თავის თვითმფრინავს უსათუოდ უნდა იცნობდენ ნაწილები და თვითეული მეომარი,

მფრინავმა კი, რომელსაც სურს მიიპყროს ყურადღება, გარდა ყოველგვარი შთანგისა (შუშხუნებით, გასროლით და სხვა), უნდა წაიყვანოს თავისი თვითმფრინავი ისე, რომ ყოველი ნიშანი თვითმფრინავზე ადვილი შესამჩნევი იყოს.

თვითმფრინავს გასარჩევი ნიშნები გაკეთებული აქვს ფრთების და სხეულის ქვედა მხარეზე.

ხ. მ—ი.

# ქიმიური მოგერიება ბანაკში

(დასასრული)

## ქიმიური მოგერიების სამსახურის წესი

დღიურები აწარმოებენ განუწყვეტლივ თვალყურის დევნას ქარის ძალასა და მიმართულებაზე და მასთან უთვალთვალებენ ცას (მტრის თვითმფრინავების გამოჩენას).

ასეულის მორიგეები ორჯერ ან სამჯერ დღეში მოახსენებენ თვალთვალის შედეგებზე ბანაკის მორიგეს; ქიმსაიდუმლოები იგზავნებიან აირსახიფათო ქარის დროს ბანაკის მორიგის განკარგულებით. ქიმსაიდუმლოები შესდგება ორი კაცისაგან, მხოლოდ ერთი მათგანი საჭიროა იყოს ქიმიური ოცეულიდან. ნიშნის გასაცემათ ქიმსაიდუმლოებს ეძლევათ სხვა და სხვა ფერის შუშხუნები. იქვე უნდა იქნას ერთი ჩირაღდანი. მეტეოროლოგიური სადგური კონტროლს უწევს წინა ხაზის მეტწერტების თვალთვალს. სადგურს ემსახურება ქიმიური ოცეულის წითელ არმიელები და თუ ასეთები არ იქნებიან, იმ შემთხვევაში ინიშნებიან უნცროს მეთაურთა შემადგენლობიდან.

აირგანგაშს ახდენს ბანაკის ქიმსამსახურის უფროსი, რომელიც ამაზე ადრევე აფრთხილებს ბანაკის მორიგეს. აირგანგაში უნდა იკვრებოდეს 1) საერთო, როდესაც ქიმიური თავდასხმა ხდება აირტალღებით და შხამიანი კვამლით, 2) ადგილობრივი, როდესაც თავდასხმა ხდება ქიმყუმბარებით, და მაშასადამე ნიშნებიც უნდა იქნას გამომუშავებული ისეთი, რომელიც ანიშნებს ქიმთავდასხმის ხასიათზე.

ამაზე უნდა იქნეს მიქცეული განსაკუთრებული ყურადღება, ვინაიდან ზომების მიღება ორივე შემთხვევაში სხვა და სხვა გვარია. საჭიროა ერთ და იმავე დროს აირგანგაშთან იგზავნებოდეს პატარა ტაქტიკური ამოცანები ასეულის ან ათასეულის მასშტაბში.

აირგანგაშის შემდეგ პირობითი უნდა იქნას გაწმენდილი კარვები, იარაღი და სხვა. ადგილობრივი აირგანგაში კარგია აღინიშნოს „ბოლიანი სანთლებით" (დაწვით ბანაკის მდებარეობაში) ამასთანავე მხედველობაში მიღებულ უნდა იქნას ქარის მიმართულება, რომ კვამლით დაიფაროს მარტო ის უბანი, რომელზედაც ინიშნება აირგანგაში. თუ მიღებული იქნება პირობითი თავდასხმა იპრიტით, ბანაკიდან უნდა გაყვანილ იქნას ხალხის მთელი შემადგენლობა და ცხენები.

მოწამლულ ადგილების გასაწმენდათ უნდა გამოიყენოს ქიმოცეული დამარაგებულ კირის ან სილის საშუალებით. მედპერსონალის ქიმიზაციისათვის საჭიროა მათი გამოყენება მოწამლულებზე დახმარების გაწევით. აირგანგაში, როგორც საერთო, აგრეთვე ადგილობრივ შეიძლება ნაცადი იქნას დღე-ღამის ყოველ დროს და შეძლებისდაგვარად შეუთანხმოის მეცადინეობის საერთო გეგმას. აირგანგაშის შედეგებზე აუცილებლად უნდა იქნას გამოცხადებული საკარვო შეკრების ბრძანებაში. ქიმმოგერიების ასეთი გეგმით შეიძლება გაეცნოს ჩვენი წ. არმიელები და უფპოლიტშემადგენლობა იმას, თუ როგორ ეწყობა ომის პირობებში ქიმიური მოგერიების სამსახური.

დ. ჭავჭანიძე.

# შეუდგენ სამხედრო სწავლებას

## ცვალებადელები ჩვენთან

4-ე ლეგიონი

ჯერ კიდევ მაისის პირველი იცხვები იყო, როდესაც ჩვე- ი ლეგიონი შეუდგა სამზადისს ვალებად წით. არმიელების ესახვედრად.

უმთავრესი ყურადღება მიექ- ა პოლიტ-საგანმანათლებლო უშაობას, რისთვისაც მოწყო- ილ იქნა ათასეულის ფარგ- ებში პოლიტ-შემადგენლო- ს გადასამზადებელი სემინა- ები; დაიწყო მთელი შენო- ების შეკეთება-გალამაზება, მო- ზადებულ იქნა ასეულის ბიბ- იოთეკები და სხვა.

12 მაისიდან მაზრის სხვა და ხვა რაიონებში დაგზავნილი ქნა ლეგიონის უფპოლიტშე- ადგენლობა, სადაც ჩატარდა ცვალებად წ. არმიელთა გამო- ვევის კამპანიები. არც ერთ აიონში არ დასჭირებიათ გა- ოყვანა რომელიმე წითელ არ- იელის ადმინისტრატიული წე- ით. ყველანი უკლებლივ ცხად- ებოდენ თავიანთ ასეულის მე- აურთან.

14 მაისს რაიონებიდან ლე- იონში მოიყარეს თავი 1-ლი თასეულის ყველა ასეულებმა, აუკეთესო სურათს წარმოად- ენდა უმთავრესად მეჯვრისხე- ის რაიონის წითელ არმიელე- ბის შემოსვლა ლეგიონის ეზო- ში; გაივსო ეზო ახალწვეულე- ბით, შეერიენ ძველი წითელ არმიელები. ყველას გამოუჩნდა ნათესავი და ნაცნობი ამხანაგე- ბი, გაიმართა ჯგუფური მუსაი- ფი და აცნობდენ ერთმანეთს თავიან ყოფა-ცხოვრებას.

შემდეგ ახალწვეულები გა- შინჯულ იქნენ ექიმებისაგან, გაკრიჭეს, გაგზავნეს აბანოში და ყველანი ახალტანსაცმელში გამოწყობილი დაბინავდენ წი- თელ ყაზარმებში.

15 მაისს ლეგიონს მოემატა 2-ე და 3-ე ათასეულის მთე- ლი შემადგენლობა, რომელ- თაც ლეგიონმა საზეიმო შეხ- ვედრა გაუმართა.

მოწყობილი იქნა ასეულებ- ში ლენინის კუთხეები, რო- მელშიდაც მხურვალე მონაწი- ლეობას ღებულობდენ თვით ახალწვეულები. 17 მაისიდანვე გაჩაღდა ყოველგვარი მეცადი- ნეობა ცვალებადთა შორის.

საერთოდ ეს შეკრება საუ- კეთესოდ ჩატარდა. დეზერტი- რობას სრულიად არ ქონია ად- გილი. გამოცხადება 100 პროც. უდრიდა.

სამხკორი ია.

## ჩვენი ასეულიც ამუშავდა.

მე-6 ლეგ. მე-5 ასეული

ჩვენი ასეული თავის დროზე გამოცხადდა ცვალებადელებით ლეგიონში და დაიკავა 1-ლი ლეგიონის ყაზარმა, რომელიც საუკეთესოდ მოვაწყვეთ. ჩამო- ვაყალიბეთ ლენინის კუთხე, გავმართეთ სამკითხველო და სხვადასხვა წრეები, რომლითაც ძლიერ დაინტერესებული არიან ყველა წითელ არმიელები. ასე- ული შესდგება სხვა და სხვა ეროვნების წარმომადგენლები- საგან, რომელთა შორის ქართ- ველობა მეტია: 90 პროც. ქა- რთველი, დანარჩენი რუსი, სო- მეხი და თათრები.

ასეულის შემადგენლობა ცდილობს თავის სიმაღლეზე და- აყენოს ნაწილი; ტარდება რო- გორც სამხედრო, ისე პოლიტ- საათები.

ცვალებადელები ყველაფერს ენერგიულად და მონდომებით ეკიდებიან,

მეფარიშვილი.

## როგორ ვეწყობით.

მე-4 ლეგ. 9 ასეული.

ჩვენი ასეული ჩამოვიდა ად- გილობრივი ცვალებადელებით და შეუერთდა ლეგიონს. მოს- ვლისთანავე შეუდექით მეცა- დინეობას. ძველი წითელ არმი- ელებმა გულმოდგინეთ „მოჰკი- დეს ხელი თავის საქმეს, ატა- რებდენ საუბრებს ახალწვეუ- ლებთან და უხსნიდენ მათ წი- თელი ყაზარმის ცხოვრების პი- რობებს, წითელი ჯარისა და იქ არსებული დისციპლინის თავი- სებურებას.

ჩვენს ასეულში უმთავრესად სომეხი-ცვალებადელები იყრი- ან თავს. ეს გარემოება ცოტა აბრკოლებს მეცადინეობის ნა- ყოფიერად წარმოების საქმეს, მაგრამ ყოველგვარ ღონისძიე- ბებს ვხმარობთ, რათა არ ჩა- მოვრჩეთ სხვებს და ჩვენი ცვა- ლებადელებიც სათანადოთ მო- ვამზადოთ. ისინიც გრძნობენ შექმნილ მდგომარეობას და ენე- რგიულად ეკიდებიან მეცადი- ნეობას.

ლეგიონი საერთოდ გამო- ცოცხლდა. ყველა ასეულები ახმაურებულია და გაცხოველე- ბული მუშაობა სწარმოებს.

ა. იმერლიშვილი.

## ცვალებადელები კარგად მეცადინეობენ.

მე-4 ლეგ. საკავშირო გუნდი.

ნაწილში 15 მაისს გვეწვიენ ცვალებადელები. ძველი წითელ არმიელები შესაფერდ დაუხვდენ მათ. უხსნიდენ ყველა საინტერესო საკითხებს წითელი არმიის ცხოვრებიდან. ახალწვეულები არა ჩვეუ- ლებრივ ინტერესს იჩენენ ყველა საკითხებისადმი. გულმოდგინეთ მოჰკიდეს ხელი ნაწილში წარმოებულ სამხედრო და პოლიტმეცადი- ნეობას. მოკლე ხანში ისინი შესაფერად შეისწავლიან ყველაფერს.

ჩალაშვიქრიშვილი.

## შეუდექით წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას.

მე-6 ლეგიონი

15 მაისიდან მიღებულ იქნენ ყაზარმებში ახალწვეულები. მი- ღებისთანავე მათი ცოდნის შე- სამოწმებლად ლეგიონის უფ- როს მასწავლებელმა მოახდინა გამოცდები ყველა ასეულებსა და გუნდებში. წერა-კითხვის უცოდინარი აღმოჩნდა სულ 431 წ. არმიელი. ამათგან თა- თრები 65 კაცი. სომხები 38 კ. და ქართველები—328 კ.

უცოდინარები დაყოფილი იქნენ 14 ჯგუფათ. ჯგუფებს თბილისის პოლიტგანათლების მიერ დაენიშნათ მასწავლებლე- ბი. მეცადინეობა დაიწყო 18 მაისიდან.

წერა-კითხვის უცოდინარ არ- მიელებს მიეცათ: რვეულები, ფანქრები და წიგნები. წითელ არმიელები დიდ წადილს იჩე- ნენ ამ საქმეში. მათ სიხარულს საზღვარი არა აქვს.

ჩვენი მხედრული მადლობა თბილისის პოლიტგანს, რომე- ლმაც თავის დროზე უზრუნ- ველგვყო ყველა სამოსწავლო ნივთებით და მასწავლებლებით. იმედია ის მომავალშიაც ასეთი ყურადღებით მოგვეპყრობა და და ხელს შეგვიწყობს ჩამორჩე- ნილი ახალგაზრდობის მომზა- დების საქმეში.

ე—ლი.

## არ გვყავს მასწავლებელი.

მე-2 მესანგრეთა ასეული.

ასეულში ვიმყოფებით წერა-კითხვის უცოდინარი წითელ არ- მიელები, რომლებიც მოწადინებული არიან რაიმე შეისწავლონ და არ ჩამორჩენ სხვას. სამწუხაროდ ჩვენთან არ არსებობს წერა-კით- ხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა.

ერთი მეთაური დაგვპირდა, რომ შეგასწავლითო, მაგრამ ისიც შვებულებაში წავიდა. საჭიროა ვისაც ეს ეხება, მოგვაქციოდეს ყუ- რადღებას და არ დაგვტოვონ უცოდინარი.

ლაფანაშვილი.

### მოაწყვეთ საყარაულო.

მე-4 ლეგიონის საყარაულო შენობაში არა გვაქვს წყლის მოსაკავებელი ჰურჭელი და საწოლი „კოიკები". რა- მოდენიმეჯერ მივმართეთ ამის შესახებ ვისთანაც ჯერ არს, მაგრამ ყურადღება არ მოგვექცა. მდგომარეობა ისევ უცვ- ლელია. წყლის მოსატანად დიდ მანძილზე გვიხდება სიარუ- ლი და იქმნება უხერხული მდგომარეობა. დროა მოაგვარებ- დენ ამ საქმეს საყარაულოში.

ს—ი.

# საგანაკო ცხოვრების დასაწყისი

## სამხედრო სამეცნიერო წრის მუშაობა

მე-3 ლეგიონში

მაისის პირველ რიცხვებში ლეგიონის კლუბში შესდგა ნა- წილის სამხედრო სამეცნიერო წრის კრება, რომელზედაც მო- ხსენება გააკეთა ამხ. პაპიაშვი- ლმა დაზგიდან დამიზნებასა და მისი მნიშვნელობის შესახებ. მომხსენებელმა ზედმიწევნით კარგად გააშუქა აღებული თე- მა. ის მიუდგა მას, წითელ არ- მიელებისათვის, როგორც პირ- ველდაწყებითი სროლის საქმის შესწავლის საუკეთესო საშუა- ლებას. მოხსენებამ კარგი შთა- ბეჭდილება დასტოვა მსმენე- ლებზე. ბევრი ბუნდოვანი სა- კითხები იქნა გარკვეული მის მიერ დამიზნების საქმეში.

უმცროს მეთაურებისათვის განსაკუთრებით დიდი ღირებუ- ლების იყო მოხსენება, რადგან მათ ერთხელ კიდევ მოისმინეს დასაბუთებულად თუ, როგორი წესით უნდა მიუდგენ წითელ არმიელებს სროლის სწავლე- ბისათვის.

საჭიროა წრის გამგეობა ხში- რად გამართავდეს ასეთი ხასია- თის მოხსენებებს. ბევრი საყუ- რადღებო საკითხებია გასაშუ- ქებელი, რომელზედაც ყოვე- ლდღიურად უხდებათ უმცროს მეთაურებს წითელ არმიელები- სათვის სწავლება, და თუ მათ შესაფერად გაუშუქებთ და გა- ვარკვევთ ამ საკითხებში, თა- ვისუფლად შეეძლებათ შეას- რულონ დაკისრებული მოვა- ლეობა.

ხშირია შემთხვევა, რომ წი- თელ არმიელის ზოგიერთ შე- კითხვებს ვერ უპასუხებს უმ- ცროსი მეთაური. ასეთ საკით- ხების დამუშავებას განსაკუთ- რებული ყურადღება უნდა მი- აქციოს წრემ, რითაც გაადვი- ლებს ნაწილში წარმოებულ მუშაობას.

შიოლაშვილი.

## დისციპლინა დაივიწყეს

1-ლი ლეგიონი.

ზოგიერთი წ. მოლაშქრეები ვერ იქცევიან ისე რო- გორც წ. არმიელის საპატიო სახელი მოითხოვს. იმის მა- გივრად, რომ თავიანთი ყოფა-ქცევით თავი შეაყვარონ ადგილობრივ მცხოვრებთ, ზოგიერთები კი წინააღმდეგ იქ- ცევიან და ქუჩაში გავლის დროს ხუმრობით და მასხრო- ბით თავს აბეზრებენ მოქალაქეებს. ასეთი საძაგელი წ. არმიის რიგებში დაუშვებელია, რომელიც სახელს უტეხს წ. არმიას მოქალაქეთა თვალში.

დედანა.

## მოსპეთ ნაკლულევანებანი

### მოგვეცით მაგიდები.

მე 6 ლეგიონისა და პირველი ლეგიონის ერთ ნაწილს გვაქვს საერთო სასადილო, სადაც არ გვყოფნის მაგიდები. წითელარმიელებს ფეხზე დამდგარი უხდებათ სადილის ჭამა. სასადილოს დარბაზი დიდია. თამამად შეიძლება რამოდენიმე მაგიდა მოთავსდეს გრძელი სკამებით, მაგრამ არავინ ფიქ- რობს ამის შესახებ. კარგი იქნება ყურადიღებდენ ამას და მოგვცემდენ კიდევ რამოდენიმე მაგიდას. ამის შესაძლებლობა აქვს ნაწილს.

კალამი.

### ჩვენც უნდა მოგვექცეს ყურადღება,

ქუთაისის სამხედრო გოსპიტალში სანიტრების ნახევარი რიცხვი თითქმის ქართველებია. გოსპიტალში დაარსებულია ლენინის კუთხე, სადაც უმთავრესად პლაკატები, ლოზუნგები და წიგნებიც რუსულ ენაზეა. ქართული კი არ მოიპოება. დიდი ხანია აგრეთვე, რაც არ ჩატარებულა ჩვენთან პოლიტ- საათები. როგორც ეტყობა არც ეხლა ფიქრობს ვინმე ამის შესახებ. ჩვენც გვინდა, რომ არ ჩამოვრჩეთ სხვებს მეცადი- ნეობაში. საჭიროა მოგვექცეს ყურადღება.

ჩამორჩენილი.

## განაახლეს პოლიტსაათები.

ცხენ. ლეგიონი

ყაზარმაში დატოვებულ ნა- წილში ეს რამოდენიმე დღე იქნება, რაც განახლდა პოლიტ- საათები. ჯერ-ჯერობით ისევ საზამთრო პროგრამის მიხედვით ვსწავლობთ, რადგან ჯერ არ მიგვიღია საზაფხულო პროგრა- მა. ვიმეორებთ გავლილ თე- მებს და კიდევ უფრო საფუძ- ვლიანად ვითვისებთ. ცალ-ცა- ლკე არსებული ჯგუფები შე- ვერთდით და ისე ვმეცადინე- ობთ. გამეორების დროს ამას უფრო დიდი ნაყოფი მოაქვს, რადგან მეცადინეობა შეჯიბ- რითი ხასიათს ღებულობს და უფრო ცოცხლად მიმდინარე- ობს.

წითელ არმიელები თამამად იძლევიან პასუხს ყველა შეკით- ხვებზე. ახალი პროგრამით მე- ცადინეობას კიდევ უფრო გა- გვიადვილებს ძველის საფუძ- ვლიანად გამეორება და შეთ- ვისება.

პ. კახიძე.

## მე-2 ლეგიონის ბატარეია ბანაკში.

ბანაკში გასვლამ ძლიერ გა- ახარა ჩვენი წითელ არმიელები. ყაზარმიდან გამომგზავრების დროს საზღვარი არ ქონდა მათ სიხარულს. მთელი გზა სიმღე- რითა და ცეკვა-თამაშით გან- ვლეთ ბანაკამდე.

აქ კი, ჩამოსვლისთანავე შე- უდექით მუშაობას. გადავსჭი- მედ კარვები. შეუდექით ნორ- მალურ საზაფხულო ხასიათის მუშაობის წარმოებას.

ჯერ-ჯერობით ცუდი—წვი- მიანი ამინდები გვიშლის ხელს, თორემ მზად ვიყავით სპორ- ტიული ვარჯიშობის დასაწყე- ბადაც.

განსაკუთრებით ახარებს წი- თელ არმიელებს მომავალი მა- ნევრები, რომლის დროს უნდათ გამოცადონ თავისი საბრძოლო გამძლეობა და მომზადება.

შ. რევიშვილი.

# სამხკორის კუთხე

## სამხკორთა მუშაობა ცვალებადთა შორის.

უკვე მოვიდენ ნაწილებში ცვალებად წითელარმიელთა შემადგენლობა. ჩვენი მოვალე- ობაა ისე დავაყენოთ ნაწი- ლებში სამხკორთა მუშაობა, რომ დავაინტერესოთ ამ მუ- შაობით ცვალებადელები და მივიზიდოთ მასში.

ცვალებად ახალწვეულებ- მა ჯერ კიდევ არ იციან სამხ- კორის მოვალეობა, როგორია მისი მუშაობა და ამოცანები. ეს პირველ მოსვლისთანავე უნდა აეხსნათ მათ.

სამხკორთა წრეებმა, რომ- ლებშიდაც მიზიდული უნდა იქნენ პირველ რიგში ნაწილ- ში მოსული მუშსოფლკორები და წვევამდე მზადების დროის სამხკორები, შემდეგი გეგმით უნდა ჩაატარონ თავისი მუშა- ობა:

გამოცემული უნდა იქნეს ასეულის კედლის გაზეთები 2—3 თვეში. სამხკორთა წრე- ებში დამუშავებული უნდა იქ- ნას შემდეგი საკითხები:

1) ცვალებადელი სამხკორი და მისი ამოცანები შეკრებებში. 2) კედლის გაზეთი შეკრების დროს, 3) სამხკორი ცვალება- დელი და გაზეთი „წითელი არმიელი"; 4) სამხკორი და პარტია, 5) სამხკორი და სამ- ხედრო სწავლება და 6) სამხ- კორთა მუშაობა შეკრებათა შორის.

სამხკორთა წრეში ამ საკით- ხების დამუშავების დროს, თი- თეულ მათგანს უნდა შეუ- ფარდოთ სათანადო პრაქტი- კული სამუშაო: როგორც მა- გალითად, თემა კორესპონდენ- ციისათვის, როგორ უნდა დაი- წეროს წერილი, როგორ მო- ვათავსოთ მასალები კედლის გაზეთში და სხვა.

ეხლავე საფუძვლიანად უნდა გავაცნოთ ცვალებად სამხკო- რებს გაზ. „წითელი არმიელი" და გავსწიოთ აგიტაცია მიაწო- დონ მას კორესპონდენციები.

ტერნაწილების სამხკორთა წრეების მთელი ყურადღება ამ ჟამად აქეთკენ უნდა იქნას გა- დატანილი და ენერგიულად მოჰკიდონ ხელი ცვალებადელ- თა შორის სამხკორთა რიცხვის გაზრდის საქმეს.

## საჰაერო თავდაცვის საქმე ამერიკაში

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკა ყველაზე უფრო უზრუნველყოფილია საჰაერო თავდასხმის შესაძლებლობისაგან თავისი ბუნებრივი პირობების გამო (ყოველმხრივ დიდი ოკეანეებით არის გარშემორტყმული) მაინც დიდ ხარჯებს იღებს, რომ საუკეთესოდ დააყენონ ქვეყნის საჰაერო თავდაცვის საქმე.

ამას წინად მთავრობის კომისიამ გამოარკვია გავაიის კუნძულებზე საჰაერო თავდაცვის შესაძლებლობა და დაასკვნა, რომ ზგერების დამჭერი აპარატები, კარგად მოწყობილი პროჟექტორების სისტემა და საზენიტო არტილერიის შესაფერი რიცხვი სრულიად უზრუნველყოფენ კუნძულებს ყუმბარ მზიდავების თავდასხმისაგან. ეს გავაიის კუნძულებზე, ხოლო თვით ამერიკაში?

ცხადია ამერიკაში გაცილებით უფრო კარგად არის დაყენებული საჰაერო თავდაცვის საქმე.

## ამხ. ამხ. სამხკორებო, მოგვაწოდეთ წერილები ბანაკის ცხოვრებიდან

### ახალი სამხედროტეხნიკაში.

#### რადიო ომში.

როგორც საკავშირო საშვალება, რადიო საუკეთესოა ომში მომქმედი არმიებისათვის.

საფრანგეთის არმია მაროკოში მოქმედების დროს საუცხოოდ იყენებს ნაწილების ერთმანეთთან დასაკავშირებლად რადიოს.

არმიები, ლეგიონები, ცალკე მომქმედი ჯგუფები და საგუშაგოებიც კი რადიოს საშვალებით უკავშირდებიან ერთმანეთს.

განსაკუთრებით მეტად ხელსაყრელია ასეთი კავშირი ისეთი პირობების დროს, როდესაც ყოველი მხრიდან ელი ფრონტის გაშლას.

თუ წინად ფიქრობდენ, რომ რადიო განსაკუთრებულ შემთხვევისათვის შეიძლებოდა ყოფილიყო გამოყენებული, საფრანგეთის არმიის მაგალითმა მაროკოში სრულიად გააბათილა ეს შეხედულება. რადიო მშვენიერი მოსახმარი შეიქნა მცირე შემადგენლობის ჯგუფებისა და ასეულებისთვისაც.

#### ᲞᲠᲝᲟᲔᲥᲢᲝᲠᲘ—ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲰᲐᲔᲠᲝᲞᲚᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒ ᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ.

იმპერიალისტური ომის დროს ჰაეროპლანების წინააღმდეგ საუკეთესო როლი ითამაშეს პროჟექტორებმა.

სენმიშენში მომხდარ ბრძოლის დროს, ზგერების დამჭერ აპარატებმა აღმოაჩინეს მტრების აუარება ჰაეროპლანები, რომლებიც სცდილობდენ ასცდენოდენ პროჟექტორების მიერ გაშვებულ სხივებს. მიუხედავად ამისა პროჟექტორებმა მაინც შესძლეს მათი მოქმედების არეს აღმოჩენა ცის თაღზე. მძლავრი სხივების უეცარი მიპყრობით მფრინავები იძულებული შეიქნენ გაბრუნებულიყვნენ უკან.

ერთ მათგანზე იმდენად იმოქმედა პროჟექტორმა, იმდენად დააბნია მფრინავი, რომ ის იძულებული შეიქნა ძირს დაშვებულიყო.

ამ ჟამად დამტკიცებულად ითვლება, რომ იმ ადგილზე ყუმბარების დაშენა, რომელიც შეიარაღებულია პროჟექტორებით შეუძლებელი ხდება, რადგან მფრინავებში დიდ პანიკას ქმნის პროჟექტორის სხივები და უსპობს მათ მოქმედების საშვალებას.

## უცხოეთის არმიებში

### თავდაცვის გლეხთა რაზმები

უკანასკნელ ხანებში ჩინეთის გაზეთები დიდ ყურადღებას აქცევენ გლეხთა მასებში გაძლიერებულ რაზმების გაჩენის საკითხს. სხვა და სხვა პროვინციებში გლეხებმა შეადგინეს რაზმები. შანდუნის პროვინციაში თავდაცვის გლეხთა რაზმი, რომელსაც ეწოდება „წითელი შუბები" შესდგება რამოდენიმე ათასისგან და ხშირად აწყობს თავდასხმებს ჯარებზე. ხსენებული პროვინციის სამხრეთ ნაწილში, გავრცელებული ხმების მიხედვით „წითელ შუბელებმა" დაიკავეს რამოდენიმე დიდი ქალაქები. სხვა ადგილებში გლეხთა მოხალისე რაზმებს ეწოდებათ „შავი შუბები" და შეიარაღებული არიან შაშხანებით. რაზმების წინამძღოლები აცხადებენ, რომ მათ სურთ დაიცვან მცხოვრებლები მძარცველ ჯარისკაცებისა და ბანდიტებისაგან.

გლეხობა ამარაგებს პარტიზანებს სურსათ სანოვაგით და იფარავს მათ. გაზეთების ცნობით პარტიზანების გავლენა თანდათან იზრდება. პარტიზანთა „თეთრი შუბების" რაზმები იბრძვიან უპეი-ფუს ჯარების წინააღმდეგ პროვინცია—შენსში.

პარტიზანული მოძრაობა ჯერ კიდევ არაა ორგანიზაციულად ჩამოყალიბებული, მაგრამ მიუხედავად ამისა ის ძლიერ აწუხებს ადგილობრივ ხელისუფლებას, რომელსაც ეშინია ამ მოძრაობის მასიურობის—გაფართოების.

### ინგლისის ავიაციის „ცუდი მდგომარეობა".

ინგლისის პარლამენტის დეპუტატი კენვორტი აგიტაციას ეწევა რათა შექმნილ იქნას ინგლისში ერთიანი თავდაცვის სამინისტრო დღევანდელ სამხედრო, საზღვაო და საჰაერო სამინისტროების მაგივრად. ის ასაბუთებს თავის აზრს იმით, რომ გაერთიანება მისცემს სახელმწიფოს დიდ ეკონომიას და დაეხმარება ინგლისის საჰაერო ფლოტის გაძლიერებაში, რომელიც მისი აზრით მეტად ცუდ მდგომარეობაშია შედარებით საფრანგეთის, იტალიის და სხვა ქვეყნების ფლოტებთან.

ინგლისის საჰაერო ფლოტს, რომელსაც ეყოლება 500 მომქმედი თვითმფრინავი და რამდენიმეჯერ მეტი მარაგი შეეძლება მეტოქეობა გაუწიოს სხვა ქვეყნების ფლოტებს. ამ რიგად კენვორტის წინადადებაში აშკარად სჩანს დიდი სურვილი რათა კიდევ უფრო მეტად გაძლიერებული იქნას ინგლისის საჰაერო ფლოტი.

## პასუხი შეკითხვებზე

— ბურკაძეს. მიწა თქვენს საკუთრებას არ შეადგენს, ის ეკუთვნის სახელმწიფოს, ამიტომ ის ფაქტიურად მომუშავის ხელში რჩება.

— აბრაშუმაძეს. შეუძლია ამხანაგებს დაადგინოს თამბაქოს მოწევა აკრძალული იქნეს ყაზარმაში.

— დეკანოზიშვილს. თუ ორი წელიწადი იმსახურეთ მოხალ... სეთ, მაშინ ეს გეთვლებათ ნამდვილ სამსახურად და არ იქნები... გაწვეული, როცა გაიწვევენ თქვენს წელში ე. ი. 1904 წ. დაბად... ბულთ.

— კოხნიაშვილს. სამოქალაქო ტანსაცმელის ტარება შეუძლ... მხოლოდ სამსახურის გარეშე საშუალო მეთაურიდან დაწყებულ... ზევით.

— შ. ბურკაძეს. თქვენი შეკითხვის შესახებ თავის დროზე ი... ნება ბრძანება, ჯერ-ჯერობით კი არაფერი ვიცით.

— ეძლიშვილს. მოხალისეების მიღება წითელ ჯარში შეჩ... რებულია.

— ლუკას. ოჯახური მდგომარეობა თქვენ არ განთავისუფლ... ბთ. თქვენი ცოლი თუ ქალაქში ცხოვრობს, დახმარებისათვის მიმა... რთოს უზრუნველყოფ. კომისარიატს, თუ სოფელში გლეხკომს.

— ხონელიძეს. ახლა არ გერგებათ. თუ დარჩებით ზედმე... მსახურ უმცროს მეთაურად, მაშინ მოგეცემათ მისი ჯამაგირი.

— გძელიშვილს. შეგიძლიათ უფროსის ნებართვით.

— გ—ს. დათხოვნილი იქნებით ა. წ. შემოდგომაზე.

— ჯა—ნს. დათხოვნის დროს ტანსაცმელი მოგეცემათ ბრ... №476 და 1132—25 წ.

— ჩარ—ს. ნამდვილ სამსახურად არ ჩაგეთვლებათ.

— ავთანდილს. ორი წელიწადი უნდა იმსახუროთ.

— კალანდიას. ბიბლიოთეკარი ღებულობს ჯამაგირს მეშვიდ... ხარისხით. (იხ. ბრ.№110—25 წ. დამატება).

— ობჩელს. თქვენ კანონიერად ხართ გაწვეული ბრ. №96... 1925 წ.

— იას. უნდა იმსახუროთ სამი წელი.

— ტერტეროვს. გადარიცხული ტერნაწილში არ იქნები... ბრ. №834—25 წ.

— ბე—ძეს. საშუალო და უმაღლეს სასწავლებელ დამთავრებუ... ლნი ჯარში გაწვევის დროს ოჯახურ შეღავათებით არ სარგებლო... ბენ ბრ. №965—25 წ.

— კულაშელს. თქვენ სარგებლობთ არა პირველი, არამედ მე... ორე ხარისხის შეღავათებით, ამიტომ შესაძლებელი იყო თქვენი კა... დრში გაწვევა.

— ა—ძეს. შეღავათებით არ სარგებლობთ, რადგან მოხუცე... ბულ მშობლების გარდა, თქვენს ოჯახში არის შრომის უნარიანი... თქვენი ცოლი (ბრ. №965—25 წ.).

## პასუხი სამხკორებს

**კახელს** (2 ლეგ.), **ძინძიბაძეს** (1-ლი ლეგ.) **ტ. მამალაძეს** (1-ლი არტლეგ.) და **მინდიაშვილს** (1-ლი ლეგ.) თქვენი წერილები: „ჩვენი ცხოვრებიდან", „მეტი ყურადღება", „საბანაკო სამზადისი" „გავედით ბანაკში" არ დაიბეჭდება. ასეთები იყო მოთავსებული ჩვენს გაზეთში.

**გაგ ავას** (4-ლეგ.) თქვენი წერილები ძლიერ გაუგებრად არის დაწერილი. მოიწერეთ რაც შეიძლება გარკვევით.

**შიოლაშვილს** (3-ლეგ.) კორესპონდენცია წითელ არმიელთა უპარტიო კონფერენციის შესახებ მეტად დაგვიანებულია. არ დაიბეჭდება.

**ე—ლის** (6-ლეგ.) თქვენი საპასუხო წერილი ნინუაკუთხელისადმი არ დაიბეჭდება.

**ბურდილაძეს** (2-ლეგ.) თქვენი წერილი „სოციალიზმის მშენებლობის გზაზე" არ გამოგვადგა. მოიწერეთ ნაწილის ცხოვრებიდან.

**ტაბატაძეს** (1-ლი არტლეგ.) თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

**გოდერძიშვილს** შემოიარეთ რედაქციაში.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

1-ლ ცალკე საკავშირო ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება კომპარტიაში კანდიდატად მიღების შესახებ. ამავე ასეულის წ. არმიელ ვასო იაგორისძე კუნჭულიას (ოზურგეთის მაზრის ლანჩხუთის რაიონის ლესის სოფლის მცხოვრები).

კომუჯრედი სთხოვს ყველა იმ პირებს რომლებმაც იცის რაიმე უარყოფითი აღნიშნულ ამხანაგზე გვაცნობოს 10 დღის განმავლობაში. ხელმოუწერავი ქაღალდები არ მიიღება.

პ. მგ. ხარატიშვილი.


## რა ღირს 1-ლ ივნისიდან „წითელი არმიელი"!!

ცალკე ხელის მომწერთათვის:

1 თვით — 35 კაპ.
3 თვით — 90 კ.
6 თვით — 1 მ. 70 კ.
12 თვით — 3 მ 20 კ.

წითელ-არმიელებისათვის კოლექტიური ხელისმოწერა არა ნაკლებ 10 ცალისა:

1 თვით — 30 კაპ.
3 თვით — 80 კ.
6 თვით — 1 მ. 50 კაპ.
12 თვით — 3 მ.

ცვალებადელთათვის სოფელში გადაგზავნით იგივე რაც წითელ არმიელებისათვის


## სანიტგანათლება ბანაკში

გათავდა საზამთრო სწავლება. დადგა შეძენილი სანიტცოდნის გამოყენების დრო და შეუდექით ახალ საზაფხულო მუშაობას.

საზაფხულო მეცადინეობა იმავე სანიტსაათების სახით იწარმოებს. მოვისმენთ საუბრებს, ლექციებს, უნდა წავიკითხოთ და გავარჩიოთ „ჯანმრთელობის დაფები" და პლაკატები.

ზამთარში ჩვენ შევისწავლეთ, თუ რა იწვევს ავადმყოფობას და როგორ უნდა დავიცვათ თავი მათგან. ბანაკობის დროს ჩვენს წინაშე სდგას ამოცანა—გამოვიყენოთ ცხოვრებაში მიღებული ცოდნა.

რატომ ხდება ეს მაინცა და მაინც ზაფხულობით? იმიტომ რომ საბანაკო ცხოვრების პირობები ძლიერ წააგავს საომარ პირობებს.

მართლაც: ზამთარში ყველანი ვცხოვრობთ ყაზარმებში, უკვე მზამზარეულ შენობებში, სადაც თბილა, გვაქვს განათება და ცოტა თვალყურს თუ ადევნებ საკუთარ თავს ყოველთვის სუფთად ხარ.

ასე არ ხდება ბანაკში. იქ თვითონ წითელ არმიელები აგებენ კარვებს. ზამთარში, ყაზარმის სქელი და მაგარი კედლები გვიცავს სინესტისა და სიცივისაგან, ხოლო კარავში ცხოვრების დროს ყველა ამას ადგილი აქვს და წინასწარ უნდა ვიყოთ ამისთვის მომზადებული.

მარტო ეს არ კმარა. საჭიროა კარგად დავათვალიეროთ კარვის გარშემო ადგილი, ხომ არ ხდება ქაობი, ხომ არ აბინძურებენ იმ მდინარეს, საიდანაც უხდება ნაწილს სასმელი წყლის ზიდვა, ვინ სცხოვრობს ბანაკის გარშემო მდებარე სოფლებში, რაიმე გადამდები ავადმყოფობას ხომ არ აქვს სოფლებში მოდგმული ფეხი და მრავალი სხვა.

აი ყველა ის საკითხები, რომლებიც თავს იჩენენ ბანაკში ცხოვრების დროს.

ძველად ომების დროს უფრო მეტი ჯარის კაცები იხოცებოდენ გადამდები ავადმყოფობით, ვიდრე მტრისაგან გამოსროლილი ტყვიით.

წითელ არმიელმა უნდა იცოდეს, თუ როგორ დაიცვას თავი მუცელის სენისა და ათასგვარი ტიფის გავრცელებისაგან.

მარტო ეს არ კმარა. ჩვენ ვსთქვით, რომ საბანაკო ცხოვრება ძლიერ წააგავს საომარს-თქო. ამით უნდა ვისარგებლოთ ე. ი. უნდა შევაჩვიოთ თავი საომარ პირობებს.

უნდა ვიცოდეთ ყოველგვარი დაზიანებისაგან თავის დახსნა, განსაკუთრებით კი ფეხების. ფეხოსანი ჯარის ძალა ფეხებშია. უნდა ვიცოდეთ როგორ დავიხვიოთ ფეხზე ტილო, რომ ტკივილები არ გამოიწვიოს სიარულის დროს და არ გააფუჭოს ფეხები.

ბანაკშივე ადვილად შეიძლება შევისწავლოთ, თუ როგორ შეიძლება სასწრაფო დახმარება აღმოუჩინოთ ავად გამხდარ ამხანაგს სანამ ექიმი და სანიტრები მიაღწევდენ მასთან. ეს უნდა ახსოვდეს თითეულ მეომარს და გულმოდგინეთ მოჰკიდოს ხელი მის შესწავლას.

აირით ბრძოლა? მომშხამავ ნივთიერებიდან თავის დაცვა? ბანაკი ყველაზე უფრო ხელსაყრელი დროა, რომ საფუძვლიანთ შევსძლოთ ყველა ამ საკითხების პრაქტიკულად შესწავლა.

როგორ უნდა გვეჭიროს თავი ლაშქრობის დროს, როგორ დავისვენოთ საბრძოლო პირობებში?

აუარება საყურადღებო და საინტერესო საკითხები წამოიჭრება ბანაკში ცხოვრების დროს ჩვენი ნაწილების წინაშე.

ამას თავის დროზე უნდა მიექცეს ყურადღება, როგორც თითეული წითელი არმიელის, ისე მეთაურისა და პოლიტშემადგენლობი პირებისაგან.

მ.

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3. პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.